საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დეკანოსიძე გენრი ევგენის ძე

დეკანოსიძე გენრი ევგენის ძე (15. IX. 1935, გორი), ფარმაკოქიმიკოსი. მედ. მეცნ. დოქტორი (2003), საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (2004).

1959 დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამედ. ინ-ტი; 1959–63 იყო ცხინვალის №1 აფთიაქის მმართველის მოადგილე; 1963-იდან ი. ქუთათელაძის სახ. ფარმაკოქიმიის ინ-ტის ტრიტერპენული შენაერთების ლაბორატორიის მეცნიერი თანამშრომელია, 1983-იდან – ამავე ლაბორ. გამგე.

დ-მ შექმნა ბრონქოსპაზმოლიზური პრეპარატი „კავსურონი" და ერთ-ერთი პირველი მცენარეული არასტეროიდული, ანტირევმატიული პრეპარატი – „ფაციფლოგინი".

დ. არის მრავალი სამეცნ. შრომის, მ. შ. 3 მონოგრაფიის ავტორი.

თხზ.: წამალთმცოდნეობის მეცნიერული მოსაზრებანი, თბ., 2009 (თანაავტ.: ბ. რაჭველიშვილი, დ. ცინცაძე); Исследование тритерпеновых гликозидов, Тб., 1982 (თანაავტ.); Биологическая роль, распространение и химическое строение тритерпеновых гликозидов, Тб., 1984 (თანაავტ.).